ო, ადამის შვილო, ჭეშმარიტად, მე აუცილებლად გაპატიებ შენ, მიუხედავად იმისა, რა ცოდვები გაქვს ჩადენილი, სანამ არ შეწყვეტ ჩემს მიმართ ვედრებას და იმედის ქონას ჩემზე

ანასისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია რომ მან თქვა: "მე მოვისმინე, როგორ თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ყოვლადკეთილი და ყოვლისშემძლე ალლაჰმა თქვა: "ო, ადამის შვილო, ჭეშმარიტად, მე აუცილებლად გაპატიებ შენ, მიუხედავად იმისა, რა ცოდვები გაქვს ჩადენილი, სანამ არ შეწყვეტ ჩემს მიმართ ვედრებას და იმედის ქონას ჩემზე! ო, ადამის შვილო, თუ შენი ცოდვები ცის ღრუბლებამდე მიაღწევს, ხოლო შემდეგ შენ ითხოვ ჩემგან მიტევებას, მე აუცილებლად გაპატიებ შენ, მიუხედავად იმ ცოდვებისა! ო, ადამის შვილო, თუ შენ ჩემთან მოხვიდე ისეთი ცოდვებით, რომლებიც დედამიწის ზომას აღწევს, მაგრამ ჩემს წინაშე წარსდგები ისე, რომ არავის შეუდარებ ჩემთან თაყვანისცემაში, მე აუცილებლად მოგანიჭებ შენ მიტევებას, რომელიც მოიცავს ყველა ამ ცოდვას!»

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესი და დალოცვილი ალლაჰი ამბობს წმინდა ჰადისში (ყუდსში): ო, ადამის შვილო, სანამ შენ ჩემს მიმართ ვედრებას გამოხატავ და ჩემი წყალობის იმედი არ დაგეკარგება, მე დავფარავ შენს ცოდვებს და წავშლი მათ, არ მივაქცევ ყურადღებას, თუნდაც ეს ცოდვები ძალიან მძიმე იყოს. ო ადამის შვილო! თუკი შენი ცოდვები იმდენად ბევრი იქნება, რომ შეავსებს ცასა და მიწას შორის სივრცეს, მიაღწევს მათ საზღვრებს და მოიცავს ყველა მხარეს, მაგრამ შემდეგ მოინანიებ, მე ყველა მათგანს წავშლი და გაპატიებ ისე, რომ მათ სიმრავლეს არ მივაქცევ ყურადღებას. ო, ადამის შვილო, ჭეშმარიტად, თუ შენ ჩემთან შენი გარდაცვალების შემდეგ მოხვიდე ისეთი ცოდვებით, რომლებიც დედამიწის სიდიდისაა, მაგრამ მოკვდები ერთღმერთიანობაზე, არ დამიდგენ არავის თანაზიარად, მე ამ ცოდვებზე მოგცემ ისეთივე სიდიდის მიტევებას, როგორც დედამიწაა, რადგან ჩემი წყალობა უსაზღვროა და მე ვპატიობ ყველა ცოდვას, გარდა შირქისა (მრავალღმერთიანობა).

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5456